სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა — დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე!

დიდია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიღწევები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად პროცესში, რომელსაც სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა წარმართავს. ამ კეთილშობილურ, პატრიოტულ საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებსაც.

მთელი ჩვენი რესპუბლიკა ამჟამად წინასადღესასწაულო შრომით ვახტზე დგას. საბჭოთა ადამიანები გაათკეცებული ენერგიით იბრძვიან თავიანთი მოღვაწეობის ყველა უბანზე, რათა ღირსეული მაჩვენებლებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 48-ე წლისთავი, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გახსნა. მთელს საქართველოში, ისევე, როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკებში, უკვე ამთავითვე მძლავრად ჩქეფს დიდი შემოქმედებითი შრომითი პათოსი, რათა ჩვენი დიადი სამშობლო ჯერარნახული გამარჯვებებით შეეგებოს კაცობრიობის ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაარსების, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო 50 წლისთავს.

დღესასწაულს ახალი წარმატებებით ეგებებიან, კერძოდ, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობებისა და გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. ამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში წარმატებით ხორციელდება წლიური გეგმების შესრულება ყველა უბანზე, განსაკუთრებით კი ჩაისა (შემოქმედელებთან) და ყურძნის (ვაზისუბნელებთან და ვარკეთილელებთან) უხვი მოსავლის აღებაში. ამ შრომით წარმატებებში დიდი როლი შეასრულა ახალგაზრდობამ.

კომუნისტური საზოგადოების აშენების ახალი, გრანდიოზული ამოცანების გადასაჭრელად მეტად თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს ამ მშენებლობაში ჩაბმული საბჭოთა ადამიანების ფიზიკური და სულიერი თვისებების სრულყოფას, ყოველმხრივ განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდას. ფიზკულტურა და სპორტი ამ დიდი ამოცანის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების აქტიური მონაწილეობით საქართველოში ბოლო წლებში სანაქებო ღონისძიებები გატარდა მასების კულტურული მომსახურებისთვის: აშენდა კულტურის სახლები, კლუბები, გაფართოვდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ქსელი, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სოფლად მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაშლისა და შესაბამისი ბაზების მშენებლობის თვალსაზრისით. მაგრამ სოფლად მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელ-სპორტული მუშაობის დღევანდელი დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება თანადროულობის მოთხოვნებს. სოციალისტურ სოფელში უკვე ყველაფერი მომწიფდა, რათა უფრო ფართოდ გაიშალოს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, სპორტული ბაზების მშენებლობა.

სწორედ ეს საკითხი განიხილეს მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობებისა და გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. მათ აღნიშნეს, რომ ახალგაზრდებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს თავიანთი კოლექტივების შრომით მიღწევებში, ყველა პირობა როდი აქვთ შექმნილი შრომის შემდეგ კულტურული და აქტიური დასვენებისთვის, რომ ეს გარემოება, თავის მხრივ, იწვევს ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ლტოლვას ქალაქისკენ, მეორე ნაწილის უსაქმურობას, რაც შემდეგ საფუძვლად ედება ამორალური საქციელის გამოვლინებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს. შემოქმედისა და ვაზისუბნის კოლმეურნეობების, აგრეთვე ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები ერთსულოვნად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ქმედითი ღონისძიებებით იბრძოლონ პარტიის მოთხოვნათა განხორციელებისთვის, კერძოდ, სოფლად მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაშლის დარგში, რათა ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას ყველა პირობა შეექმნას ფიზიკური გაკაჟებისა და აქტიური, კულტურული დასვენებისთვის.

აღნიშნული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც სასახელო მაჩვენებლებით ეგებებიან საქართველოს კპ და საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXIII ყრილობებს, თავიანთი ახალგაზრდობის თხოვნის, თაოსნობისა და მისწრაფების შესაბამისად საქვეყნოდ ივალდებულეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება 1967 წლის 7 ნოემბრისთვის — დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისთვის.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის 22-ე წელი.

№ 219 (2939) ● შაბათი, 6 ნოემბერი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობამ ივალდებულა:

1. საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXIII ყრილობის გახსნის დღეებისთვის მიაღწიოს კოლექტივის ყველა წევრის 30 პროცენტის გაერთიანებას ფიზკულტურასა და სპორტში, ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისთვის ეს რიცხვი აიყვანოს 50 პროცენტამდე. ფართოდ გაშალოს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობა, რეგულარულად მოაწყოს შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები და სამატჩო შეხვედრები ცალკეულ სახეობებში.

2. კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში მიაღწიოს მძლეოსნობის, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, სროლის, ლელობურთის, ქართული ჭიდაობისა და ძალოსნობის სექციების ქმედითუნარიანობის ამაღლებას, აგრეთვე კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის, ხელბურთის, ჭადრაკის, ცხენოსნობისა და სპორტის სხვა ეროვნული სახეობების დანერგვა-განვითარებას.

3. შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებისა და მეზობელ ორგანიზაციებთან ამხანაგური და სამატჩო შეხვედრების გამართვით 1966 წელს მოამზადოს 10 თანრიგოსანი და მშთ 15 ნიშნოსანი; 1967 წელს კი — 2 პირველთანრიგოსანი და დანარჩენი თანრიგების 15 სპორტსმენი, აგრეთვე მშთ 20 ნიშნოსანი.

4. 1966-67 წლებში საზოგადოებრივი ფიზკულტურული ინსტრუქტორებისა და მსაჯების რიცხვი აიყვანოს 30 კაცამდე, რომლებიც უხელმძღვანელებენ მთელ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას რგოლებსა და ბრიგადებში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეობის ფიზკულტურულ საქმიანობაში.

5. შექმნას ნაკრები გუნდები სპორტის არანაკლებ 5 კულტივირებულ სახეობაში, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ რაიონულ ჩემპიონატებში; უზრუნველყოს ისინი სათანადო სპორტული ტანსაცმლითა და ინვენტარით.

6. დაიწყოს და 1966 წელს დაამთავროს საკოლმეურნეო სტადიონის მშენებლობა ტიპიური პროექტის მიხედვით. სტადიონს ექნება ფეხბურთის მინდორი, სარბენი ბილიკები, მძლეოსნური სექტორები, კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები.

7. 1966 წელს დაიწყოს და 1967 წელს ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისთვის დაამთავროს 25-მეტრიანი ღია საცურაო აუზის, ტანვარჯიშული და სპორტული თამაშობების დარბაზების მშენებლობა ტიპიური პროექტების მიხედვით.

8. მოაწყოს სპორტული ნაგებობების — დარბაზებისა და საცურაო აუზის გათბობის სისტემა, რომელიც გამოიყენება აგრეთვე სათბურებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სათავსოებისა და შენობების გასათბობად.

კოლმეურნეობის მშრომელთა დავალებით:
დ. მდინარაძე,
კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.
რ. მანუყვაძე,
პარტიული ორგანიზაციის მდივანი.
დ. შუბლაძე,
კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.
გ. დუმბაძე,
ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.
ვ. დუმბაძე,
დ. მენაბდე,
კოლმეურნეობის გამგეობის წევრები.

გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ივალდებულა:

1. საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXIII ყრილობის გახსნის დღეებისთვის მიაღწიოს მეურნეობის თანამშრომელთა 30 პროცენტის გაერთიანებას ფიზკულტურასა და სპორტში, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისთვის ეს რიცხვი აიყვანოს 50 პროცენტამდე, რის საფუძველზეც ფართოდ გაშალოს მასობრივი, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობა, რეგულარულად მოაწყოს შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, სამატჩო და ამხანაგური შეხვედრები მათთან დანერგილ ცალკეულ სახეობებში.

2. მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში შექმნას სექციები სპორტის 10 სახეობაში, მათ შორის ფეხბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, ლელობურთსა და ხელბურთში.

3. შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებისა და მეზობელ ორგანიზაციებთან ამხანაგური და სამატჩო შეხვედრების გამართვით 1966 წელს მოამზადოს 7 თანრიგოსანი და მშთ 12 ნიშნოსანი; 1967 წელს კი — 1 პირველთანრიგოსანი და დანარჩენი თანრიგების 12 სპორტსმენი, აგრეთვე მშთ 18 ნიშნოსანი.

4. 1966-67 წლებში საზოგადოებრივი ფიზკულტურული ინსტრუქტორებისა და მსაჯების რიცხვი აიყვანოს 15 კაცამდე, რომლებიც უხელმძღვანელებენ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას ბრიგადებსა და აგროუბნებში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობაში.

5. შექმნას ნაკრები გუნდები სპორტის არანაკლებ 4 კულტივირებულ სახეობაში, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ რაიონულ ჩემპიონატებში, უზრუნველყოს ისინი სათანადო სპორტული ტანსაცმლითა და ინვენტარით.

6. დაიწყოს და 1966 წელს დაამთავროს სტადიონის მშენებლობა ტიპიური პროექტით. სტადიონს ექნება ფეხბურთის მინდორი, სარბენი ბილიკები, მძლეოსნური სექტორები, აგრეთვე კალათბურთის, ხელბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

7. 1966 წელს დაიწყოს და 1967 წელს, ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისთვის დაამთავროს 25-მეტრიანი ღია საცურაო აუზის, ტანვარჯიშული და სპორტული თამაშობების დარბაზების მშენებლობა ტიპიური პროექტების მიხედვით.

8. მოაწყოს სპორტული ნაგებობების — დარბაზებისა და საცურაო აუზის გათბობის სისტემა, რომელიც გამოიყენება აგრეთვე სათბურებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სათავსოებისა და შენობების გასათბობად.

მეურნეობის მშრომელთა დავალებით:
ი. კაველაძე, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი; ჯ. დვალი, პარტორგანიზაციის მდივანი; ი. ჯოხაძე, პროფორგანიზაციის თავმჯდომარე; ვ. ხუციშვილი, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი; ნ. ჯამასპიშვილი, ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარე.

გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობამ ივალდებულა:

1. საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXIII ყრილობის გახსნის დღეებისთვის მიაღწიოს კოლექტივის ყველა წევრის 30 პროცენტის გაერთიანებას ფიზკულტურასა და სპორტში, ხოლო დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისთვის ეს რიცხვი აიყვანოს 50 პროცენტამდე. ფართოდ გაშალოს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობა, რეგულარულად მოაწყოს შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, სამატჩო და ამხანაგური შეხვედრები სპორტის ცალკეულ სახეობებში.

2. ფიზკულტურულ კოლექტივში შექმნას მძლეოსნობის, სროლის, ხელბურთის, ქართული, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის, ლელობურთისა და ცხენოსნობის სექციები.

3. შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებისა და მეზობელ ორგანიზაციებთან ამხანაგური და სამატჩო შეხვედრების გამართვით 1966 წელს მოამზადოს 12 თანრიგოსანი და მშთ 17 ნიშნოსანი; 1967 წელს კი — 2 პირველთანრიგოსანი და დანარჩენი თანრიგების 17 სპორტსმენი, აგრეთვე მშთ 25 ნიშნოსანი.

4. 1966-67 წლებში საზოგადოებრივი ფიზკულტურული ინსტრუქტორებისა და მსაჯების რიცხვი აიყვანოს 35 კაცამდე, რომლებიც უხელმძღვანელებენ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას რგოლებსა და ბრიგადებში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეობის ფიზკულტურულ საქმიანობაში.

5. შექმნას ნაკრები გუნდები სპორტის არანაკლებ 6 კულტივირებულ სახეობაში, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ რაიონულ ჩემპიონატებში; უზრუნველყოს ისინი სპორტული ტანსაცმლითა და ინვენტარით.

6. დაიწყოს და 1966 წელს დაამთავროს საკოლმეურნეო სტადიონის მშენებლობა ტიპიური პროექტის მიხედვით. სტადიონს ექნება ფეხბურთის მინდორი, სარბენი ბილიკები, მძლეოსნური სექტორები, აგრეთვე კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები.

7. 1966 წელს დაიწყოს და 1967 წელს, ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის დაამთავროს 25-მეტრიანი ღია საცურაო აუზის, ტანვარჯიშული და სპორტული თამაშობების დარბაზების მშენებლობა ტიპიური პროექტების მიხედვით.

8. მოაწყოს სპორტული ნაგებობების — დარბაზებისა და საცურაო აუზის გათბობის სისტემა, რომელიც გამოიყენება აგრეთვე სათბურებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სათავსოებისა და შენობების გასათბობად.

კოლმეურნეობის მშრომელთა დავალებით:
მ. იაშვილი,
კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.
ი. ბოჭსაძე,
პარტორგანიზაციის მდივანი.
ე. აზდაროვი,
კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.
გ. ოსიაშვილი,
ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარე.
ლ. ჯავახიშვილი,
ზ. ბუხურაშვილი,
კოლმეურნეობის გამგეობის წევრები.

* * *

ეჭვი არ არის, რომ ზემოაღნიშნულ ვალდებულებათა განხორციელება დიდ როლს შეასრულებს აღნიშნულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში შრომისნაყოფიერების ზრდაში, მშრომელთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვაში, მათს პროპაგანდაში. ასევე უდავოა, რომ შემოქმედელთა, ვაზისუბნელთა და ვარკეთილელთა ამ პატრიოტულ თაოსნობას ქმედითად გამოეხმაურებიან ჩვენი რესპუბლიკის სხვა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

მ. ჩიხლაძე

ნ. სკრეპუნოვა

ოთხი ახალი ოსტატი

„ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში მიზნად ისახავდა ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლინებას და, უნდა ითქვას, რომ მან თავისი დანიშნულება გაამართლა.

4 ახალი სპორტის ოსტატი! — ასეთია ამ შეჯიბრების შედეგი.

სავალდებულო პროგრამის შემდეგ ტურნირს (ჩატარდა თბილისში) სათავეში ჩაუდგა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ნ. სკრეპუნოვა, რომელსაც კვალში მიჰყვებოდნენ თანაგუნდელი ო. გობეჯიშვილი და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები მ. ჩიხლაძე და გ. შალიკიანი.

ნებისმიერი პროგრამა ყველაზე კარგად შეასრულა ჩიხლაძემ (მწვრთნელი თ. ზურაბიშვილი). საბოლოო ჯამში მან 54,75 ქულით I ადგილ რა. II ადგილი (54,5 ქულით) წილად ხვდა რესპუბლიკის და მწვრთნელის ნ. სალუქვაძის აღსაზრდელ სკრეპუნოვას. გობეჯიშვ ქულა დააგროვა და 0,05 ქულის უპირატესობით წინ გაუშვა ოთხივე მონაწილემ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

საყვედურის ღირსნი არიან ი. სვანიძე (პოლიტექნიკური ინს მოსწავლე ს. მელიქსეტიანი, რომლებმაც დაკარგეს თუ არა სპორტ ნორმის შესრულების შანსი, თვითნებურად გამოეთიშნენ შეჯიბრებ მათთვის კარგი სკოლა იქნებოდა.

ფოტო და ტექსტი ი.

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით **საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის** წოდება მიენიჭა **შ. ქოიავას** — თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა ცენტრალური სპორტული სკოლის მწვრთნელს ტანვარჯიშში.

• • •

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით „საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის“ წოდება მიენიჭათ: **ქართულ ჭიდაობაში** — ბ. გუჯარაიძეს (სამტრედიის „კოლმეურნე“), ვ. ქიქიაშვილს, ზ. სახვაძეს, ფ. მარტყოფლიშვილს, შ. გულიაშვილს (თბილისის „დინამო“), რ. ქაიხოსროშვილს, ი. პეტრიაშვილს, ს. ჩიტაიშვილს (თბილისის სკა).

• • •

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **მშვილდოსნობაში** — შ. ჯიშიაშვილს (ქუთაისი); **ქართულ ჭიდაობაში** — ვ. ფუხაევს (ცხინვალი); **თანამედროვე ხუთჭიდში** — ა. სმირნიცკის (თბილისი).

• • •

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სსრ კავშირის სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **თავისუფალ ჭიდაობაში** — დ. ქინქლაძეს (ბათუმის „სპარტაკი“), გ. მარღანიას (თბილისის „შრომითი რეზერვები“), ი. წილოსანს (თბილისის „კოლმეურნე“), ო. ჯოპავას, დ. ბალათელიას (თბილისის „განთიადი“), ტ. ტაბუევს (თბილისის „დინამო“); **სამბოში** — რ. ბერუაშვილს, გ. გამილაღდიშვილს (თბილისის „დინამო“); **თანამედროვე ხუთჭიდში** — ო. აბესაძეს (თბილისის „დინამო“); **ტყვიით სროლაში** — ვ. კირეევას (თბილისის „დინამო“); **საწყლოსნო-სამოტორო სპორტში** — ი. ქათამაძეს (ბათუმის „განთიადი“), ა. მინასიანს, კ. ზავადსკის (ბათუმის „სპარტაკი“); **მაგიდის ჩოგბურთში** — ა. მურადიანს (ბათუმის „კოლმეურნე“).

„წინსვლის“ კონკურსი

სამტრედიის რაიონული გაზეთი „წინსვლა“ სისტემატურად ბეჭდავს საჭადრაკო პარტიებს, მეთოდურ მასალებსა და კომპოზიციებს. ამ დღეებში დამთავრდა კომპოზიციების ამოხსნის რაიონული კონკურსი, რომელმაც ჭადრაკის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

კონკურსში გაიმარჯვა ხილ-ბოსტნეულის დამზადების კანტორის დირექტორის მოადგილემ რ. შანიძემ.

ა. მაჩიტაძე,
კონკურსის მსაჯი.

12 დაფაზე

ზუგდიდის მასწავლებელთა სახლში მოეწყო შეხვედრა ოსტატობის კანდიდატ ი. ჩიქოვანთან, რომელმაც წაიკითხა საინტერესო ლექცია საჭადრაკო ხელოვნებაზე, შემდეგ კი უპასუხა მსმენელთა შეკითხვებზე. დასასრულს გაიმართა ერთდროული სეანსი 12 დაფაზე. სტუმარმა მხოლოდ 2 პარტია წააგო. იგი დაამარცხეს მასწავლებლებმა ა. თოლორაიამ და ჟ. ჩხეტიამ.

გ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

რაიონებში [illegible]

ზესტაფონი

რაიონის პიონერთა სახლში ჩამოყალიბდა საჭადრაკო სექცია, სადაც 60-მდე ნორჩი სპორტსმენი ეუფლება ამ ბრძნულ თამაშ-ს ანბანს. ამჟამად სექციაში მიმდინარეობს პირად-გუნდური პირველობა მსოფლიოს ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასზე.

ა. განუგრავა.

ასემც გევლოს, ბუხუტი!

თბილისის საერთაშორისო

უკანასკნელი დღეების გმირად მოგვევლინა საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი ბ. გურგენიძე: მან ზედიზედ 3 გამარჯვება მოიპოვა, მტკიცედ დაეუფლა ლიდერობას და ახლა იგი უახლოეს მეტოქეთ, ასე ვთქვათ, საკმაო მანძილით უსწრებს.

XI ტურში გურგენიძემ (შავებით) ბულგარელ ოსტატ ი. რადულოვთან უვიმცევის დაცვა აირჩია. თეთრებმა დებიუტში თითქმის უკეთესი პერსპექტივა მიიღეს, მაგრამ შემდგომ ქართველმა ოსტატმა დაამტკიცა, რომ ეს ასე არ იყო. მისი პოზიცია უამრავ ფარულ რესურსს შეიცავდა და საკმარისი იყო ბულგარელ მოჭადრაკეს ოდნავ მოედუნებინა სიფხიზლე, რომ ლიდერი დაეუფლა ინიციატივას და გამარჯვება იზეიმა.

საინტერესო კომბინაცია განახორციელა ბულგარელმა ა. კოლაროვმა (შავებით) უნგრელ ლ. ნავაროვსკისთან ბრძოლაში. ეტლსა და ორ პაიკში 2 მსუბუქი ფიგურის შეწირვით მან სწორად გაითვალისწინა, რომ მისი ეტლი ძლიერ გამსვლელ პაიკებთან ერთად უფრო მრისხანე ძალას წარმოადგენდა, ვიდრე ნავაროვსკის ორი მხედარი. მონაწილენი ხუმრობდნენ: კოლაროვს ამ კომბინაციის განხორციელების იდეა „უკარნახა“... მ. ტალმაო (რიგელმა დიდოსტატმა ერთი დღით ადრე სპასკისთან მეორე პარტიაში 30-ე სვლაზე ანალოგიური კომბინაცია ჩაატარა და გაიმარჯვა). კოლაროვმაც შეძლო მეტოქის დამარცხება.

ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, თბილისელმა ა. ბოკუჩავამ კარგად ითამაშა სოჭელი დიდოსტატის რ. ხოლმოვის წინააღმდეგ. გადამწყვეტ მომენტში ბოკუჩავამ დიდოსტატს შესწირა ჯერ ხარისხი, შემდეგ მხედარი და მუდმივი ქიშით ყაიმს მიაღწია.

როგორც სათავეადასავლო ფილმში, ისე წარიმართა მოვლენები ვ. ბალცეროვსკისა (პოლონეთი) და ა. გიპსლისის (რიგა) შეხვედრაში. გიპსლისმა (შავებით) მეტოქეს ეხლი შესწირა და სახიფათო ინიციატივას დაეუფლა. ვალში არც პოლონელი დარჩა. მეტოქის იერიშების უვნებელყოფის მიზნით ეტლსა და კუში მან ლაზიერი შესწირა, რის შემდეგ მატერიალური უპირატესობა ბალცეროვსკის მხარეზე აღმოჩნდა. პოლონელს შეეძლო პარტია გამარჯვებამდე მიეყვანა, მაგრამ დააფიქრა შავების გამსვლელმა პაიკებმა და მეტოქეს ყაიმი შესთავაზა, რომელიც მიღებულ იქნა.

ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ბ. შოოშ (რუმინეთი) — ა. ლილიენტალის (მოსკოვი), რ. ჯინჯიხაშვილ (თბილისი) — რ. ოუჭსისა (გდრ) და ვ. პიტჩ (გდრ) — რ. ბოგდანოვიჩის (იუგოსლავია) შეხვედრები. ორი პარტია გადაიდო.

შეცდომების ნამდვილი ფეიერვერკი გახლდათ ა. ბუსლაევ (თბილისი) — ვ. იანსას (ჩეხოსლოვაკია) ორთაბრძოლა. თბილისელმა უდავოდ მოსაგებ პოზიციას მიაღწია, მაგრამ ცაიტნოტში რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, რის შედეგად ჩეხოსლოვაკიელს ერთი სვლით შეეძლო პარტიის ბედის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა. იანსას საათის ისარი „ბეწვზე“ ეკიდა და მოჭადრაკის ერთადერთ საზრუნავს წარმოადგენდა საკონტროლო სვლების გაკეთება. სიჩქარეში იანსამ ვერ შეამჩნია ელემენტარული მომგებიანი გაგრძელება. გადადებულ პარტიაში იგი ზედმეტ პაიკს ინარჩუნებს, მაგრამ სხვადასხვა ფერის კუთა ვაში ბუსლაევს ყაიმის დიდი შანსი აქვს.

ვ. ალატორცევის (მოსკოვი) უპირატესობით გადაიდო მისი პარტია იუგოსლაველ დიდოსტატ მ. დამიანოვიჩთან. მოსკოველს ზედმეტი პაიკი და მოგების შესაძლებლობა აქვს.

ბ. ასტაჩიშვილი.

გუშინ...

დილით დამთავრდა გადადებული პარტიები. თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ ბუსლაევი და იანსა, ხოლო დამიანოვიჩი დანებდა ალატორცევს.

საღამოს შედგა XII ტური. გურგენიძემ დაამარცხა ნავაროვსკი, გიპსლისმა — ბუსლაევი, ბოგდანოვიჩმა — ჯინჯიხაშვილი. ყაიმით დამთავრდა ხოლმოვ—შოოშის, იანსა—ბოკუჩავას, ფუქს—ბალცეროვსკის, დამიანოვიჩ—პიტჩის, ლილიენტალ—რადულოვისა და ალატორცევ—კოლაროვის პარტიები. 12 ტურის შემდეგ გურგენიძეს 9.5 ქულა აქვს. 7,5-7,5 ქულა დააგროვეს ხოლმოვმა, ლილიენტალმა და შოოშმა.

გ. შალიკიანი

ო. გოგეჯიშვილი

რესპუბლიკის პირველობა

3 ნოემბერს ჩატარდა გამოტოვებული მატჩები.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „დილა" (გორი) 3:1. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).

გორელებმა, რომლებიც რესპუბლიკის ჩემპიონობის პრეტენდენტები არიან, ძლიერად დაიწყეს თამაში და 21-ე წუთზე გახსნეს კიდეც ანგარიში. „დილა" თითქოს ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ შესვენების შემდეგ მდგომარეობა მინდორზე მკვეთრად შეიცვალა. ქობულეთელებმა მთლიანად ხელთ აიღეს ინიციატივა და მალე გაიტანეს საპასუხო გოლი. ამ წარმატებამ გუნდს გამარჯვების რწმენა ჩაუსახა და სტუმართა კარში კიდევ 2 ბურთი იქნა გატანილი.

● „გურია" (ლანჩხუთი) — „განთიადი" (ბორჯომი) 2:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

ლანჩხუთელთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა პირველი ნახევრის დასასრულს, როცა ისინი წინ იყვნენ ანგარიშით 2:0. მაგრამ ამ წარუმატებლობამ ბორჯომელები არ დააბნია. შესვენების შემდეგ ისინი განუწყვეტლივ უტევდნენ მეტოქეს, რომლის დაცვა ხშირად უშვებდა შეცდომებს. „განთიადმა" არა მარტო გაქვითა ანგარიში, არამედ ბოლო წუთებზე კინაღამ გაიმარჯვა: „გურიის" კარი გოლისგან იხსნა ძელმა.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:1. მსაჯი დ. კანდელაკი (სამტრედია).

აქტიური „დებიუტის" შემდეგ სტუმრებმა გახსნეს ანგარიში, ხოლო სამტრედიელებმა თანაბრობა აღადგინეს ტაიმის მიწურულში. შესვენების შემდეგ ორივე გუნდი დიდი მონდომებით იბრძოდა გამარჯვებისთვის, მაგრამ ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა.

• • •

ცხაკაიას „ცისკარი" არ გამოცხადდა სათამაშოდ თბილისის „სინათლესთან", რისთვისაც მას წაგება ჩაეთვალა.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 4 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„თოლია" (თბილისი)	30	14	11	5	52—29	39
„დილა" (გორი)	30	17	4	9	41—23	38
„შუქურა" (ქობულეთი)	30	11	15	4	52—42	37
„მესხეთი" (ახალციხე)	29	13	10	6	36—26	36
„სინათლე" (თბილისი)	30	10	13	7	40—34	33
„გურია" (ლანჩხუთი)	29	10	12	7	36—29	32
„ცისკარი" (ცხაკაია)	30	10	10	10	41—33	30
სკა (თბილისი)	30	8	13	9	50—40	29
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	30	9	10	11	37—35	28
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	30	8	12	10	31—34	28
„მერცხალი" (მახარაძე)	29	10	7	11	45—47	27
„სამეგრელო" (ზუგდიდი)	30	7	13	10	36—47	27
„ბახმარო" (ჩოხატაური)	30	7	12	11	38—46	26
„განთიადი" (ბორჯომი)	30	8	10	12	32—46	26
„მეშახტე" (ტყვარჩელი)	30	9	8	13	33—48	26
„წინსვლა" (წულუკიძე)	31	7	11	13	33—58	25
„მადაროელი" (ჭიათურა)	30	7	7	16	35—51	21

სსრ კავშირის პირველობა

გოლები და ავტორები

ფეხბურთი
1965

გუშინწინ გაიმართა „ა" კლასის I ჯგუფის გუნდების მორიგი კალენდარული მატჩები. აი, მათი შედეგები:

● „ტორპედო" (მოსკოვი) — „პახტაკორი" 4:0. გოლების ავტორები არიან სტრელცოვი, მარუშკო, მიხაილოვი, ბრედნევი.

● „დინამო" (კიევი) — „ლოკომოტივი" 1:0. გოლი გაიტანა საბომ. ამ წაგებით „ლოკომოტივი" დაემშვიდობა „ა" კლასს.

● „კრილია სოვეტოვი" — ცსკა 0:1. გოლის ავტორია კაზაკოვი.

● „დინამო" (მინსკი) — „დინამო" (მოსკოვი) 0:0.

მსაჯთან შეკამათებისათვის...

დონეცკი. „შახტიორის" სტადიონი. 4 ნოემბერი.
„შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (თბილისი) 0:0.

„შახტიორი": კოროტკიხი, გოლოვკო, ზუბკოვი, მეშჩერიაკოვი (ანდრიენკო), ცუნინი, სალკოვი, სოროკინი, სტანკიავიჩუსი, ლევჩენკო, პანინი, ევსეენკო.

„დინამო": ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია, იამანიძე, მესხი (დათუნაშვილი).

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).
დუბლიორები — 1:0 „შახტიორის" სასარგებლოდ.

განვლო იმ დრომ, როცა „შახტიორის" ყოფნა-არყოფნის საკითხი „ა" კლასის I ჯგუფში პრობლემას წარმოადგენდა. დონეცკის ფეხბურთელებმა საჭირო გარანტიები, როგორც იქნა, მიიღეს და ახლა თამაშობენ თავისუფლად, შეუბორკავად. გარდა ამისა, ეს იყო „შახტიორის" ბოლო გამოსვლა საკუთარ სტადიონზე, ამიტომ გუნდმა თავის მაყურებლებს აჩვენა ყველაფერი, რისი უნარიც კი შესწევდა.

პირველი ტაიმი ძირითადად მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და სტანკიავიჩუსსა და სოროკინს ჰქონდათ ბურთის გატანის ხელსაყრელი შესაძლებლობანი. კარგად ითამაშეს ურუშაძემ და „დინამოს" დაცვამ, სადაც ორგანიზატორის როლს ხურცილავა ასრულებდა.

მეორე ტაიმში თბილისის „დინამო" 10 კაცის შემადგენლობით დარჩა, ვინაიდან მსაჯთან შეკამათებისთვის მინდვრიდან იქნა გაძევებული მეტრეველი. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, გარკვეული დაღი დაამჩნია სტუმრების თამაშს, მაგრამ მათ მაინც შექმნეს გოლის გატანის რეალური შანსი: იამანიძემ ზუსტი გადაცემით გაიყვანა სრულიად ღია პოზიციაში, ცარიელი კარის წინ დათუნაშვილი და ამ უკანასკნელმა თავით აცილა ბურთი მიზანს.

მ. სტრელკო.

გამარჯვება თითქმის ხელთ იყო

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 4 ნოემბერი.
„ტორპედო" (ქუთაისი) — სკა (როსტოვი) 2:2 (0:1).

„ტორპედო": კვასხვაძე, ებრალიძე, სირბილაძე, წვერავა, ზარია, კუტივაძე (ჯანშიევი), ასიტაშვილი, ვეკუა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ხერხაძე.

სკა: ივანოვი, გეტმანოვი, აფონინი, კაზაჩეკი, კრივობოროდოვი, ჩერტკოვი, ბუროვი, კუჩინსკასი, კოპაევი, ესკოვი, მატვეევი.

მსაჯი ა. ვასილიევი (ხარკოვი).
დუბლიორები — 1:0 „ტორპედოს" სასარგებლოდ.

მატჩის დასაწყისი აშკარად სტუმართა სასარგებლოდ მიმდინარეობდა. მათი თავდამსხმელები ხშირად გადიოდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანზე. მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ჩქარობდნენ და უზუსტოდ ურტყამდნენ კარში. მაგალითად, მე-20 წუთზე კოპაევმა სულ ახლო მანძილიდან ააცილა ბურთი კარს. ასეთივე შესაძლებლობა დაკარგა მატვეევმა. მხოლოდ 35-ე წუთზე შეძლო კუჩინსკასმა ანგარიშის გახსნა — 1:0.

სრულიად საწინააღმდეგო სურათს წარმოადგენდა ბრძოლა მეორე ტაიმში. გააქტიურდა ტორპედოელთა ნახევარდაცვა, სრული ძალით ათამაშდნენ თავდამსხმელები, რომელთა შორის დიდი აგრესიულობით გამოირჩეოდა ხაჟალია. სწორედ მან შეძლო მე-60 წუთზე გასვლა მოწინააღმდეგე მცველთა შორის და საპასუხო ბურთის გატანა—1:1. 18 წუთის შემდეგ როსტოველთა მცველები იძულებული იყვნენ უხეში ილეთი გამოეყენებინათ ხაჟალიას წინააღმდეგ, რომელმაც გვერდი აუარა ორ მცველს და კარის წინ აღმოჩნდა. 11-მეტრიანი დარტყმა ზუსტად გამოიყენა ჩხარტიშვილმა — 2:1.

და მაინც, ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს ამ დაძაბულ ბრძოლაში მიღწეული წარმატების შენარჩუნება: მატჩის დამთავრებას ბევრი არაფერი აკლდა, როცა კოპაევმა იხსნა თავისი გუნდი დამარცხებისაგან.

შ. ნიქარაძე.

კიეველთა დუბლიორები — გამარჯვებულნი

ჯერ კიდევ გრძელდება საკავშირო პირველობის მატჩები ფეხბურთში „ა" კლასის I ჯგუფის სათადარიგო გუნდებს შორის, მაგრამ ტურნირში გამარჯვებული უკვე ცნობილია. ესაა კიევის „დინამოს" დუბლიორთა კოლექტივი. რომელმაც მოსკოვის „ლოკომოტივთან" 4 ნოემბერს მოგებული მატჩით (3:1), გაინაღდა I ადგილი.

„ა" კლასი

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 6 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო" (მოსკოვი)	29	19	7	3	49—19	45
„დინამო" (კიევი)	28	18	6	4	47—19	42
ცსკა	29	13	9	7	33—20	35
„დინამო" (მინსკი)	29	13	8	8	33—22	34
სკა (როსტოვი)	30	10	14	6	40—31	34
„დინამო" (მოსკოვი)	30	10	13	7	35—24	33
„დინამო" (თბილისი)	29	10	11	8	31—26	31
„ზენიტი" (ლენინგრადი)	30	10	11	8	31—26	31
„სპარტაკი" (მოსკოვი)	29	9	11	9	28—22	29
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	29	9	10	10	29—37	28
„შახტიორი" (დონეცკი)	29	7	13	9	24—26	27
„ნეფტიანიკი" (ბაქო)	29	10	7	12	27—31	27
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	29	9	8	12	33—37	26
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	30	9	8	13	33—38	26
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	32	8	8	16	37—48	24
„ტორპედო" (ქუთაისი)	30	7	3	20	24—65	17
სკა (ოდესა)	28	2	5	21	17—55	9

„არარატმა" წააგო, „კაირატმა" მოიგო

მორიგი ტურის მატჩებმა „ა" კლასის II ჯგუფის იმ გუნდებისთვის, რომლებიც I—XVI ადგილებისთვის იბრძვიან, ასეთი შედეგები მოგვცა: „ავანგარდი" (ხარკოვი) — „ზარია" (ლუგანსკი) 0:4, „მოლდოვა" (კიშინიოვი) — „არარატი" (ერევანი) 4:2, „თერგი" (გროზნო) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 1:0, „დაუგავა" (რიგა) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 1:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) 0:0, „კარპატი" (ლვოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 2:0, „კაირატი" (ალმა-ათა) — „ვოლგა" (გორკი) 2:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 3:1.

გათამაშების ცხრილი

მეორე ჯგუფი I—XVI ადგილები

მდგომარეობა 6 ნოემბრისათვის

„კაირატი" (ალმა-ათა)	26	11	11	4	32—15	33
„არარატი" (ერევანი)	26	13	5	8	37—33	31
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)	26	11	8	7	33—22	30
„შინიკი" (იაროსლავლი)	26	12	6	8	28—20	30
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	26	10	9	7	32—24	29
„ავანგარდი" (ხარკოვი)	26	12	5	9	31—32	29
„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	26	9	8	9	30—25	26
„კარპატი" (ლვოვი)	26	8	10	8	23—22	26
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	26	9	8	9	25—25	26
„ზარია" (ლუგანსკი)	26	9	8	9	25—27	26
„ვოლგა" (გორკი)	26	11	4	11	27—31	26
„შახტიორი" (ყარაგანდა)	26	9	7	10	24—21	25
„თერგი" (გროზნო)	26	10	5	11	32—36	25
„მოლდოვა" (კიშინიოვი)	26	6	8	12	15—26	20
„დაუგავა" (რიგა)	26	6	7	13	25—42	19
„ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი)	26	8	9	14	18—36	15

«ალაზანმა» დაამარცხა ოდესელები

აქ გაიმართა საინტერესო ამხანაგური მატჩი ადგილობრივი „ალაზნისა" და ოდესის არმიელ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

გურჯაანელებმა კარგად ითამაშეს „ა" კლასის I ჯგუფის აუტსაიდერთან და მიაღწიეს საპატიო გამარჯვებას — 1:0. ბურთი სტუმართა კარში გაიტანა არუთინოვმა ლეჟავას გადაცემიდან.

ფ. კვირიკაშვილი.
(ჩვენი კორ).
გურჯაანი.

* ტალი სპასკი *

როცა მხოლოდ ყაიმი გსურს...

დიდ მატჩებში მოჭადრაკეები ჩვეულებრივ რომელიმე დებიუტს „ჩააცივდებიან“ და მის თითქმის ყველა სისტემას მოსინჯავენ. იგივე იგრძნობა ტალ—სპასკის მატჩშიც. გუშინ, III პარტიაში კვლავ ესპანური „სუიტა“ გათამაშდა. მაგრამ ამჯერად სპასკიმ (შავები) აირჩია ფურმან-ბორისენკოს სისტემა, რომელიც ცენტრში მძაფრი ბრძოლის მომასწავებელია. მოსალოდნელი იყო პოზიციური თამაში.

ტალმა რატომღაც უარი თქვა „აყალმაყალზე“ და მე-13 სვლაზე ლაზიერები გაცვალა. თამაში ენდშპილში გადავიდა. კიდევ ათიოდე სვლის შემდეგ, როცა პოზიცია საგრძნობლად გამარტივდა, ტალმა დაზავება შესთავაზა მეტოქეს, მაგრამ სპასკიმ წინადადება არ მიიღო. მისი პოზიცია უფრო სასიამოვნო იყო, თანაც მას ალბათ თამაშიც სწყუროდა და აი, ბრძოლა გაგრძელდა.

მატჩის ანგარიშია 1,5 : 0,5 ტალის სასარგებლოდ. გუშინდელი პარტია გადადებულია.

სპასკიმ თანდათან გაიუმჯობესა პოზიცია. ფიგურები უფრო შეთანხმებულად ამოძრავდნენ. ტალი როგორღაც დუნედ თამაშობდა, ბევრს ფიქრობდა თვითეულ სვლაზე, მაგრამ პოზიცია მაინც საყაიმო რჩებოდა. უკვე თამაშის მეხუთე საათზე, როცა ჰაერში ყაიმის სუნი დადგა, ტალმა ზედიზედ ორი მძიმე შეცდომა დაუშვა. ჯერ გაუმართლებლად ჩამოაშორა კუ დაცვას, შემდეგ ლაზიერის ფრთაზე წინ წასწია პაიკი. სპასკიმ მყისვე გამოიყენა მეტოქის დაუდევრობა და მოიგო პაიკი.

პარტია გადაიდო. ტალს მძიმე მდგომარეობა აქვს.

აი, შეწყვეტილი პოზიცია:

ტალი: მფf3, ეa6, კf4, პპ. c4, g3, h3.

სპასკი: მფd7, ეf2, კd4, პპ. c7, f7, g6, h7.

42-ე სვლა ჩაიწერა ტალმა.

დღეს შედგება ამ პარტიის დამთავრება. IV პარტია (8 ნოემბერს) გათამაშდება რუსთაველის სახელობის თეატრის დიდ დარბაზში.

• • •

სურათზე: ტალი და სპასკი თამაშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

II პარტია

ხელჩართული ბრძოლა

სპასკი — ტალი

სიცილიური დაცვა

1. e4.

სპასკისა და ტალის ხელში (მათ შეიძლება ნონაც მივუმატოთ) მეფის პაიკის სვლა გამანადგურებელ იარაღად იქცა. ვერც კერესმა და გელერმა, ვერც პორტიშმა და ლარსენმა (აგრეთვე კუშნირმა) ვერ მონახეს საკმარისი დაცვა. შემოქმედებითი თვალსაზრისით აქტუალურია, თუ როგორ ითამაშებენ სპასკი და ტალი 1. e4-ის წინააღმდეგ. პირველი ორი პარტიის დღის წესრიგში ხომ სწორედ ეს კლასიკური სვლა იყო!

1. ... c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 a6 5. მc3 ლc7 6. კd3 მc6 7. კe3 მf6 8. 0—0 b5 9. მb3 კe7.

მეგობარმა-მეტოქეებმა მატჩამდე ალბათ ერთმანეთზე მთელი „ტომები“ შეადგინეს და ყოველმა მათგანმა მშვენივრად იცის, თუ რით სუნთქავს ამათუიმ დებიუტში მოწინააღმდეგე. ამ პარტიაში მათ აირჩიეს სიცილიური დაცვის ყველაზე მოდური ვარიანტი. ჯერჯერობით ყოველივე ეს არაერთხელ ყოფილა სპასკისა (თეთრებით) და ტალის (განსაკუთრებით შავებით) პარტიებში.

10. f4 d6 11. ლf3 0—0 12. a4 b4 13. მe2 e5.

ამ პოზიციაში ადგილზე დგომა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ვინაიდან სპასკი g4-ით იმუქრება მძლავრი იერიშით. გაკეთებული სვლის დროს ტალს მხედველობაში უნდა ჰქონოდა შემდეგი პასუხი:

14. f5 d5!

სასიცოცხლო აუცილებლობით გამოწვეული ენერგიული გარღვევა. ცხადია, რომ ტალი არ ეკუთვნის იმათ რიცხვს, ვინც თვინიერად „მოაგუდვინებს“ მეტოქეს თავს (g4 რომ დაეშვა).

15. მg3.

სპასკიმ ეს სვლა სწრაფად გააკეთა. 15. ed e4! 16. კ:e4 მe5 შემდეგ ტალი მეტად აქტიურად დაიწყებდა „ცეკვას“ თავისი ფიგურებით ცენტრსა და ფრთაზე.

15. ... მa5.

ტალმა ბლანკზე ჯერ 15. ... კb7 ჩაიწერა, რომელიც მერე არ მოეწონა 16. a5-ის გამო. 45-წუთიანი მოფიქრების შემდეგ მან გაბედა მa5-ის თამაში.

16. ed კb7 17. მe4 მc4.

ცუდია შავებისთვის 17. ... მ:d5 18. მ:a5 ლ:a5 19. f6!

18. კg5.

უფრო ძლიერი ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია. უპირატესობას თეთრები ინარჩუნებდნენ 18. მ:f6+ კ:f6 19. კe4 გზით.

18. ... მ:b2.

სპასკის 18. კg5 მახეს შეიცავდა. 18. ... მ:e4 19. კ:e7 მ:d2 20. მ:d2 მ:d2 21. ლh5! შემდეგ შავები უძლიერესი იერიშის მარწუხებში აღმოჩნდებოდნენ. 18. ... მ:b2 ტალმა ძალიან ზუსტად გაიანგარიშა. ახლა იგი თავად აგებს მახეს და აი, საოცრებაა, სპასკი... მასში ვარდება.



19. d6?

ამ დროს ორივე პრეტენდენტს თითო საათი დარჩა. ისინი უთვალთვალებენ „№1 მტერს“ — საათს. სპასკიმ სწრაფად გააკეთა სვლა, რომელიც შეცდომა აღმოჩნდა. მას ეგონა, რომ ამით გამარჯვებას გაინაღდებდა. ტალმა გაითვალისწინა, რომ 19. d6 არ გადის.

19. ... ლ:d6.

პაიკი ტალმა მადიანად „შეჭამა“ და კმაყოფილმა „დაუარა“ სცენას.

20. მ:d6.

სპასკიმ გვიან შეამჩნია, რომ ჩაფიქრებულ 20. კ:f6 მოჰყვება ქიში b6-დან. სურათი მკვეთრად შეიცვალა შავების სასარგებლოდ.

20. ... კ:f3 21. ე:f3.

არ ვარგოდა 21. მ:f7, 21. ... მ:d3 22. cd კd5 გამო.

21. ... კ:d6 22. კ:f6 gf 23. კe4 ეac8 24. a5 კb8!

შავებს ზედმეტი პაიკის გარდა ორი ეტლით იერიშის შესაძლებლობა აქვთ. მათი კუ a7-ზე იდეალურად იქნება მოკალათებული.

25. g3 ეfd8 26. ეe1 კa7+ 27. მფg2 ეd6 28. ე3f1 მc4 29. მფh3 მe3 30. ეf3 მ:c2.

ფრთხილი მოჭადრაკე, ისიც ცაიტნოტში (ტალი უკვე იყო მასში), მეტოქეს არავითარ შანსებს არ მისცემდა და ითამაშებდა, დავუშვათ, 30. ... ეc3-ს. მაგრამ რატომ ასე მარტივად, როცა შეიძლება კომბინირება? — ასეთი მოუსვენარი ხასიათი აქვს ტალს. ამ პატარა კომბინაციას მან 5 წუთი დაახარჯა და ამდენივე დაიტოვა მომდევნო... 10 სვლაზე.

31. ეc1 ეc4 32. ეd3.

ტალი სწორად ანგარიშობდა, რომ 32. კ:c2 ე:c6 33. მa1 კd4 შემდეგ იგი ფიგურას იბრუნებდა. მაგრამ, როცა სპასკიმ 32. ეd3 ითამაშა, ტალი ძალიან გაოცდა: საიდან „გაჩნდა“ ასეთი უსიამოვნო სვლა?

32. ... კd4 33. ე:c2.

პარტიის შემდგომმა ანალიზმა ორივე პრეტენდენტი დაარწმუნა, რომ ეს გაგრძელება სწრაფად აგებს. უკეთესი იყო 33. მd2! მძლავრი წინააღმდეგობის იმედით.

33. ... ე:c2 34. ე:d4 ed 35. კ:c2 d3 36. კd1 ეd5!

ეტლი მიისწრაფის e5-ზე, საიდანაც გზას გადაუღობავს თეთრ მეფეს.

37. მფg4 ეe5 38. მფf4 ეe2 39. h4 h5 40. მc5 ეe1.

ამ მძიმე პოზიციაში სპასკიმ ჩაიწერა 41. კ:h5. მაგრამ მეორე დღეს, დილით, თამაშის განუახლებლად დანებდა მეტოქეს.

ს. ფლორი,
საერთაშორისო დიდოსტატი.

უკანასკნელ საათს...

◆ პრაღა, 5 ნოემბერი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში აქ დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — 58:51 (25:26). გამარჯვებულ კოლექტივს 10-10 ქულა შესძინეს ს. სმილძინიამ, რ. სალიმოვამ და თ. სლიდენკომ. ამ გუნდების შემდეგი შეხვედრა გაიმართება კარლოვი ვარში.

◆ ბუქარესტი, 5 ნოემბერი. ჰაბუკმა საბჭოთა ფეხბურთელებმა კვლავ დამარცხება განიცადეს. ამჯერად ისინი 10 ათასი მაყურებლის წინაშე გამოვიდნენ ქ. სიბიუს სტადიონზე და წააგეს რუმინელ თანატოლებთან — 0:3.

◆ კოპენჰაგენი, 5 ნოემბერი. სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ევროპული კომიტეტი 19-20 ნოემბერს თავის სხდომაზე განიხილავს ამერიკა—ევროპის მატჩის მოწყობის წინადადებას. მიაჩნიათ, რომ ამ შეხვედრის გამართვა ყველაზე უფრო ხელსაყრელია ევროპის ჩემპიონატის (ბუდაპეშტი, სექტემბერი) დამთავრებისთანავე. მაგრამ ეროვნული ფედერაციების ბევრი ხელმძღვანელი საკმაოდ გულგრილად ეკიდება ამ შეჯიბრების იდეას. მათი აზრით, მატჩს უფრო რეკლამური ხასიათი ექნება, ვინემ სპორტული.

◆ ნიუ-იორკი, 5 ნოემბერი. რეაქტიულძრავიანი ავტომანქანით რბოლაში მსოფლიოს რეკორდი „ოჯახური“ გახდა: ამერიკელ კრეგ ბრიდლავს, რომელმაც ამას წინათ საათში საშუალოდ 893,39 კმ სისწრაფე განავითარა, არც მისი მეუღლე ლი ბრიდლავი ჩამორჩა. იმავე მანქანით, რომელსაც „ამერიკის სული“ ეწოდება, მან ქ. ბონევილის მახლობლად მდებარე მლაშე ტბის გამშრალ ფსკერზე საათში საშუალოდ 496,57 კმ სისწრაფით გაიქროლა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ქალთა შორის. ძველი მიღწევაც ამერიკელ ავტომობილისტ ქალს ბ. სკელტონს ეკუთვნოდა (146 კმ საათში).

◆ პრაღა, 5 ნოემბერი. წლევანდელი სეზონის ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება 3-4 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში. ეს იქნება შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში. მასპინძელთა გუნდმა უკვე გამოაცხადა თავისი შემადგენლობა: ი. ბეროვა, ი. ხლადოვა, ჰ. მახატოვა-ბოგუშოვსკა და ჰ. მიჩეხოვა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ახალი ამბები

● თეჰერანი, 4 ნოემბერი. უძლიერეს ძალოსნებს აქ დამთავრებულ ფორუმზე, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლებს ეცილებოდნენ ერთმანეთს, გაიმართა საღამო მსოფლიო რეკორდების დასამყარებლად, კულტურისტების კონკურსი და მსოფლიო პირველობის საუკეთესო ძალოსნის წოდების მინიჭება. „მოჰამედ რეზა ფეჰლევი-ჰოლის“ დარბაზში კვლავ გაისმა ლითონის ნაცნობი „მელოდიები“. საბჭოთა ძალოსნები — ა. ვახონინი (მჩატე წონა) და ა. კალინიჩენკო (ქვემძიმე წონა) მსოფლიო რეკორდების ავტორებად მოგვევლინენ: პირველმა 141 კგ აჰკრა, რაც თავისსავე ძველ მიღწევაზე 1 კგ-ით მძიმეა, მეორემ კი ატაცში 150 კგ აჩვენა, რაც საბჭოთა ძალოსან ვ. ბერლიზოვის მსოფლიო რეკორდს 1 კგ-ით სჯობს. კულტურისტების კონკურსში გაიმარჯვა ამერიკელმა ბილ მარჩმა, ხოლო ჩემპიონატის საუკეთესო ძალოსნად აღიარეს „ოქროს“ მფლობელი საშუალო წონაში, პოლონელი ნ. ოზიმეკი.

● პეკინი, 4 ნოემბერი. სსრ კავშირის კალათბურთელთა საკლუბო გუნდების ნაკრებმა, რომელიც ჩინეთში იმყოფება, აქ ორი მატჩი გამართა. პირველ შეხვედრაში სტუმრებმა დაამარცხეს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გუნდი — 82:67, მეორე მატჩში კი — პეკინის ნაკრები — 91:75. საბჭოთა გუნდის სახელს თბილისელთაგან იცავდა ვ. უგრეხელიძე.

● ჰოკეიში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის I გათამაშების პირველივე მატჩებმა დაგვანახეს, რომ მეტოქეთა ძალები უთანაბროა. პოლონეთის ჩემპიონმა გკს-მა (კატოვიცე) მოუგო იუგოსლავიის უძლიერეს გუნდს — „ესენიცეს“ — 10:2 და 4:1. ბუდაპეშტის „დოჟამ“ ორ მატჩში საერთო ანგარიშით 16:3 დაამარცხა ბულგარეთის „ჩერვენო ზნამიას“ ჰოკეისტები. და მხოლოდ ავსტრიის ჩემპიონ „კლაგენფურტს“ შეხვდა ღირსეული მეტოქე შვეიცარიის „ბერნის“ სახით. დაძაბული ბრძოლის შემდეგ ორივე მატჩი მოიგეს ავსტრიელებმა — 4:3 და 3:2.

● კიევის „დინამოსა“ და ტრონჰეიმის „რუსენბორგის“ ფეხბურთელთა გუნდების მერვედფინალური მატჩების შემდეგ გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე. პრაღაში ადგილობრივი „დუკლა“ დამარცხდა ბუდაპეშტის „ჰონვედთან“ — 2:3. მასპინძელთა წაგებით აღინიშნა შეხვედრა დანიაშიც, ადგილობრივ „ორჰუსსა“ და შოტლანდიის „სელტიკს“ შორის — 0.1.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ჭადრაკი. ძერჟინსკის სახ. კლუბი (ბესიკის ქ. № 4). 6 ნოემბერი. ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის XIII ტური. დასაწყისი 16 ს. რუსთაველის სახ. თეატრის დიდი დარბაზი. 8 ნოემბერი. მ. ტალ—ბ. სპასკის მატჩის IV პარტია. დასაწყისი 17 ს.

ველოსპორტი (საგზატკეცილო რბოლა). დელისის მიდამოები. 6 ნოემბერი. თბილისის პირველობა. დასაწყისი 12 ს.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05703